# ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

| ევროკავშირის სამართლებრივი აქტი<br><br>საქმე - C-476/14<br>ავტონაწილების ცენტრალური ასოციაცია სამართლიანი კონკურენციის შენარჩუნებისთვის<br><br>სიტროენ კომერსის წინააღმდეგ | | საქართველოს ნორმატიული აქტის/აქტების პროექტი/პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი/აქტები, არსებობის შემთხვევაში:<br><br>1. საქართველოს კანონის პროექტი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“<br><br>შესაბამისობა:<br>სშ – სრულად შესაბამისი<br>ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი<br>შ – შეუსაბამო<br>ას – არასავალდებულო | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| გადაწყვეტილება | თუ დირექტივის მე-3 მუხლს განვიხილავთ დირექტივის 1-ელ მუხლსა და მე-2 მუხლის (ა) პუნქტთან ერთობლიობაში, მისი ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს იმგვარად, რომ ხარჯი, რომელიც უკავშირდება ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გადატანას მწარმოებლიდან მიმწოდებლამდე, რისი გადახდაც მომხმარებელს დაეკისრება, უნდა შედიოდეს იმ სარეალიზაციო ფასში, რომელიც ნაჩვენებია რეკლამაში მოვაჭრის მიერ, ყველა იმ პირობის გათვალისწინებით, რომლის წყალობითაც მომხმარებლის თვალში მთლიანი რეკლამა სწორედ ამ ავტოსატრანსპორტო საშუალების შეთავაზებას ეთმობა. ხოლო ფაქტს, ნამდვილად აკმაყოფილებს თუ არა რეკლამა ამ პირობებს, ადგენს განმხილველი სასამართლო. | 1 | 5.1 | დ) პროდუქტის სრული ფასის შესახებ, ძირითადი და დამატებითი (მათ შორის ტრანსპორტირების, გადაგზავნის, მონტაჟის და სხვ.) ხარჯების მითითებით. ასევე, თუ პროდუქტის ბუნებიდან გამომდინარე ასეთი ფასის წინასწარ გამოთვლა შეუძლებელია, მისი გამოთვლის წესი და ინფორმაცია, რომ დამატებითი ხარჯი შეიძლება წარმოიშვას. | სშ | |